ПОТИ. Николаю Николадзе


# იმერეთი

№ 7

ოთხშაბათი 14 იანვარი 1915 წ.

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

**გაზეთი ღირს:**

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ვ. ი. გოგიელოვისა.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.



უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

## კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.



ს. ს. **ი. გოკიელის** ძ-ბის ქუთაისში

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

## აბრეშუმის ჭიის თესლის

## ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.**



## ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კურსი ათ თვიანია.

## სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.**



## სტუდენტი,

**უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლებს ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა. ჟორჟოლიანის სახლი.**

6—3.



## კბილის ექიმები.

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდნენ **ქ. ქუთაისში.**

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით.



## სამკურნალო

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).



**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, **ვარლამ პ—ძე მოსეშვილი** 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, **გოსპიტლის ქუჩა, ბართლომე მოსეშვილის სახლში № 6.**



**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.


# ევროპის ომი.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

## უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს.

**პეტროგრადი. პირველი.** 12 იანვარი. თანახმათ 99 მუხლის ძირით. კანონებისა. თანახმათ ჩვენი ბრძანებისა 1914 წლის 27 ივლისისა, უმართებულეს სენატისადმი ვბრძანებთ: სახელმწიფო საბჭოს სხდომები დაიწყება 17 იანვარს 1915 წ. უმართებულესი სენატი არ დასტოვებს სათანადო განკარგულების მოხდენას.

ნამდვილზე საკუთარის მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია **ნიკოლოზი.**

ცარსკოე სელო, 11 ივნისი, 1915 წ.

**მეორე.** 99 მუხლის თანახმად, თანახმად იმ ბრძანებისა, რომელიც იყო სენატისადმი ჩვენგან 27 ივლისს, 1914 წ. ახლაც ვბძანებთ: სხდომები სახელმწიფო სათათბიროში განახლდება 27 იანვარს, 1915 წელს.

ნამდვილზე მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია **ნიკოლოზი.**

ცარსკოე სელო, 11 იანვარი, 1915 წ.

### რუსეთი.

**პეტროგრადი.** 11 იანვარი. უკანასკნელ დროს დამტკიცდა, რომ გერმანელები ჩვენს პოზიციებს მდ. ბზურთან სხვადასხვა ყუმბარას ესვრიან.

...„არმეისკი ვესტნიკი“-ს სამხედრო მიმოხილვაში, 11 იანვრის თარიღით, აღნიშნულია, რომ 7, 8-სა და 9 იანვარს აღმოსავლეთ პრუსიის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ადგილ-ადგილ მხვერავ ნაწილების შეტაკებები და უმნიშვნელო სროლა ხდებოდა. მდინარე ვისლის მარჯვენა ნაპირზე მცირე ნაწილების მთელი რიგი შეტაკება სწარმოებდა. მტერი წინ წამოწევას ცდილობდა ბეჟუნის, სერპცისა და პლოცკის მიდამოებში. 9 იანვარს მტერმა დაიკავა სოფლები: გეტუ და ერჟეონი, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშით ხელახლა დავატოვებიეთ იგი. ვისლის მარცხენა ნაპირზე, ბზურისა და რავკას რაიონში მხოლოდ საველე და მძიმე არტილერია მოქმედებდა, რომელსაც მტერი პერიოდულათ აძლიერებდა სხვადასხვა პუნქტზე და ხანგამოშვებით უშედეგო იერიში მოქონდა, ასე მაგალ., 8 იანვრის ღამეს, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში, ბორჟიმოვის რაიონში მტერს იერიში მოქონდა, რომლის დროსაც შესძლო 200 ნაბიჯზე მოახლოება, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა იძულებული გახადა იგი უკან დაეხია. 8 იანვარს მტერმა იერიშების მოტანის ცდა განაგრძო, მაგრამ წარმატება არ ქონია. 9 იანვარს უშედეგო იერიშები კვლავ განმეორდა გუმინის რაიონში. ორივე მხრიდან მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირის თითქმის მთელ ფრონტზე გაძლიერებული ცეცხლი მოქმედებს. უკანასკნელ დროს მტერმა ჰაერში დაზვერვა დაიწყო, თანაც თოფით ისროდა და ყუმბარებს გვიშენდა. გალიციაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა, სწარმოებდა, მხოლოდ თოფით სროლა და ადგილ-ადგილ არტილერიითაც. კარპატების აღმოსავლეთ გასავლებში შეტაკებები ხდებოდა. 8 იანვარს მტერმა დიდძალი ჯარით იერიში მოიტანა ჩვენს ჯარზე, რომელიც კირლიბაბასთან იდგა. იერიში მოგერებულ იქნა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 200 ტყვე. უჟკოროდის გზით აგრეთვე შენიშნული იყო მტრის ცდა წინ წამოწევის შესახებ.

11 იანვარი. კერძო ცნობით, გერმანელების მთავარი ძალა და ფლოტი ამ ჟამათ კურგაფენშია თავმოყრილი. „ვილგეინს გაფენს“ ნორვეგიიდან ატყობინებენ, რომ უკანასკნელ დროს ძლიერ გახშირდა მოცურავე ნაღმები ნორვეგიის სანაპიროებთან. ამ დღეებში ხრისტიანზადთან იპოვნეს 12 ნაღმი. როგორც სჩანს, ნაღმები გერმანელებისაგან უნდა იყოს გაკეთებული.

11 იანვარი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. ოფიციალური. ქვედა ვისლის მარჯვენა ნაპირზე გასულ 10 იანვრის განმავლობაში მხოლოდ უმნიშვნელო შეტაკებები ხდებოდა გერმანელებთან. რადზანოვსა და მდ. ვისლის შუა ფრონტზე შედარებით სიწყნარე იყო. მარტო ბოროჟიმოვ-გუმინის ნაწილებში გერმანელები შეეცადნენ ჩვენს ბანაკზე იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენის ცეცხლით შეჩერებულ იქნენ და ზარალიც ნახეს გალიციაში, იასლისკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და რკინისგზიდან უჟგოროდ-სელიბორის ფრონტზე ავსტრიელებმა თავგანწირული იერიშები მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. იერიში განსაკუთრებით ძლიერი იყო იასლისკის რაიონში, სადაც მტერი ძლიერათ უშენდა ჩვენს პოზიციებს და იერიში მოქონდა ქვეითა ჯარის ერთი დივიზიის ძალით და არტილერიის ცეცხლით. ჩვენმა ზარბაზნების ცეცხლმა მტერს დიდი ზარალი მიაყენა და იერიში მოგერებულ იქნა.

ბუკოვინაში და მის გარშემო ჩვენი ჯარის მოწინავე ნაწილები 9 იანვრის განმავლობაში მტერს არტილერიით ებრძოდენ.

### საფრანგეთი.

**პარიზი.** 11 იანვარი. გავასი იტყობინება: ნიეპორისა და ლომბარდზეიდეს რაიონებში მტერმა არტილერიით გაძლიერებული ცეცხლი დაგვიშინა და იერიშის მოსატანათ მოემზადა ჩვენს პოზიციებზე, რომელიც წინათ მას წაერთვით, მაგრამ იერიში ვერ მოახერხა, ჩვენი არტილერიის მარჯვე მოქმედების გამო; მტრის ქვეითა ჯარის ნაწილები ჩვენმა არტილერიამ გაფანტა. იპრის გარშემო არტილერიის ცეცხლმა იძულებული გახადა მტერი წინა სანგარი უბრძოლათ დაეტოვებინა. მდინარის ხეობაში ჩვენმა ბატარეამ მტრის ბატარეა ჩააჩუმა, რამდენიმე ზარბაზანი მტრისა გაანადგურა, მტრის ავიატორები იძულებული გახადა უკან გაბრუნებულიყვნენ და სუპირასთან და ჟერტბიზთან მტრის თხრილები დაანგრია. ბერიობაკთან 168 მეტრის სიმაღლეზე ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტერს სანგარი წაართვა. არგონებში სენტიუბერისა და ფონტეიმადამის რაიონებში ქვეითა ჯარის ბრძოლა გრძელდება წინ წამოწეულ სანგარის გამო, რომელიც 48 საათის განმავლობაში ჯერჯეროზით ერთმანეთის ხელში გადადიოდა. მაასსა და ვოგეზს შუა ხშირი ნისლი სამხედრო მოქმედებას ძლიერ უშლის ხელს. ელზასში, გარტმანსვეილერკოპფის რაიონში, წინ წავიწიეთ. ჩვენს მარჯვენა ფლანგზე, უფგოლცთან, მტერმა შესძლო წინ წამოწეული სანგარის აღება, რომელიც ენერგიული კონტრიერიშით ისევ უკან დავიბრუნეთ.

— საღამოს ოფიციალური ცნობით, სელიბრკის რაიონს მტერმა ზარბაზნები ძლიერათ დაუშინა. ერიტალის ციხესთან დიდი სროლა მოხდა, ქვეითა ჯარს იერიში არ მოუტანია. მტერმა ქალაქ არასს რამდენიმეჯერ ზარბაზანი ესროლა. სწარმოებდა თოფით სროლაც. ალბერტის რაიონში მტერმა ლაპუასელს ზარბაზნები დაუშინა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ იგი იძულებული გახადა სროლა შეეჩერებია. კარიცას გზით ძლიერი სროლა იყო. არგონის სიმაღლეებზე ბრძოლა დასრულდა. ხურდენარის რაიონში ჩვენ ყველა პოზიცია შევინარჩუნეთ 50 მეტრიან თხრილის გარდა, რომელიც ზარბაზნების ძლიერი დაშენით განადგურდა. ელზასში ულგოლცსას რაიონში ბრძოლა კვლავ გრძელდება. აქ ჩვენ მტრის მავთულის ღობეებამდი მივედით.

— „მატენი“ დიუნკერკიდან დეპეშით იტყობინება, რომ გერმანელების მიერ უკანასკნელად ჰაერში თავდასხმის დროს, ყუმბარებით დაზიანებულია საკონსულოს შენობები: ჩრდილო ამერიკისა, ნორვეგიისა და ურუგვაისა. დაჭრილია შეერთებული შტატების კონსული.

**პარიზი.** საფრანგეთის ჯარისადმი ერთს ბრძანებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: რუსის კაპიტანმა არგუევმა, ერთი სოფლისადმი იერიშის დროს, თავის მამაცურ მაგალითით ისე აამხედრა თავისი როტა, რომ ძლიერ მხნეთ და გამბედავათ მიიყვანა ის იერიშზე. თუმცა ის დაიჭრა, მაგრამ მაინც დიდხანს განაგრძობდა როტის ხელმძღვანელობას.

### ინგლისი.

**ლონდონი.** საფრანგეთის სამხედრო მინისტრი მილიერანი მოგზაურობიდან

პარიზს დაბრუნდა. მინისტრი კიტჩენერს ესაუბრა ომის საკითხების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს მან სრული თანხმობა გამოიჩინა. იგი სხვა მინისტრებსაც ესაუბრა. მილიერანი მეფემ მიიღო. გასვლისას მინისტრმა წერილით უაღრესი კმაყოფილება გამოუცხადა კიტჩენერს და თავისი რწმენა გამოსთქვა ომის წარმატებით დაგვირგვინების შესახებ.

11 იანვარი. საადმირალო იუწყება, რომ გერმანელების ზღვაში, მათი საზღვაო თავდასხმის შესახებ ცნობა გადაკეთებულია. დღეს დილით გერმანელების კრეისერი „ბლიუხერი“ დაიღუპა. ორი სხვა კრეისერი ძლიერათ დაზიანდა. ინგლისის კი არც ერთი გემი არ დაღუპულა.

11 იანვარი. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, ბრაიანმა გარეშე საქმეთა სენატის კომისიას ვრცელი წერილით მიმართა, რომელშიც გულახდილათ და სრულიად ძალდაუტანებლათ უარყოფს გერმანიის კეთილმოსურნეთა შესახებ საჩივრებს. შეერთებული შტატები, ამბობს ბრაიანი, ხელს შეუწყობენ მოკავშირეებს გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ. ბრაიანს სწამს მებრძოლ სახელმწიფოთა უპირატესობა ზღვაზე და შეუძლიათ მათ თვალყური ადევნონ, რომ მოწინააღმდეგეს კონტრაბანდა არავინ მიაწოდოს, მაგრამ სრულებით უარყოფს რაიმე პასუხისმგებლობას შეერთებული შტატების მხრით. კონტრაბანდით ვაჭრობის დაშვება თუ არ დაშვება—ეს საყოველთაოა.

**ზღვაზე ბრძოლა.**

**ლონდონი.** საადმირალოს ცნობით, 11 იანვარს, დილით ადრე, ინგლისის სადარაჯო ესკადრამ, რომელიც შესდგებოდა ნაღმოსან და სუბუქ კრეისერებისაგან, ვიცე-ადმირალ ბიტის ხელმძღვანელობით, და მასთან ფლოტილიამ კონტრნაღმოსნებისამ, ტიზვიტის უფროსობით შენიშნეს ოთხი გერმანის კრეისერი, რამდენიმე სუბუქი კრეისერი და კონტრნაღმოსნები, რომლებიც, როგორც ეტყობოდათ, მიეშურებოდენ ინგლისის ნაპირებისკენ. მტერი საჩქაროთ გაბრუნდა უკან. ინგლისის ესკადრა გამოედევნა და დილის ათ საათსა და 30 წ. შეიქნა საშინელი ბრძოლა ნაღმოსან კრეისერებს „ლაიენსა“, „ტალგერსა“, „პრინცეს „როიალსა“, „ნიუ ზილანდსა“, „ინდოშტეინსა“ ერთი მხრით და მეორე მხრით გერმანიის გემებს: „დურფსა“, და „ლინგერსა“, „ზეიდლიც“, „მოლტკესა“ „ბლიუხერსა“. ბრძოლა შეუჩერებლივ სწარმოებდა. ნაშუადღევის პირველ საათს შემდეგ, „ბლიუხერი“, რომელიც მწკრივიდან უკვე კაი ხნის გამოსული იყო, ზღვის ძირისაკენ წავიდა. ადმირალი ბიტი იუწყება, რომ ორი სხვა ნაღმოსანი კრეისერი ძლიერ დაზიანდენ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც შესძლეს მიმალულვა. ინგლისის ესკადრამ დიდხანს სდია მათ ვიდრე საშიში არ შეიქნა მისთვის, რადგანაც შემდეგ ზღვა უკვე დანაღმული იყო გერმანელებისაგან. ინგლისის ესკადრას არავითარი ზარალი არ მოსვლია. უკანასკნელი ცნობით, გემებზე დაღუპულთა რიცხვი უმნიშვნელოა. მაგალითად, „ლაიენზე“, რომელიც ესკადრას სათავეში უდგა, დაჭრილია, მხოლოდ 11 კაცი. გერმანიის დაღუპულ გემ „ბლიუხერიდან“ საერთო 885 კაციდან ინგლისელებმა 153 კაცი გადაარჩინეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ეხო დე პარი“ იტყობინება, რომ იტალიასა და რუმინიას შორის შეთანხმება მოხდაო. გაზეთების ცნობით, შეთანხმების შინაარსი ისაა, რომ რუმინიას აქვს უფლება თავის გამოსვლის დროის დანიშვნის, ხოლო იტალია რუმინიაზე ცოტა გვიან გამოვა, ესენი, რასაკვირველია, სამთა შეთანხმების კავშირს მხარს დაუჭერენო.

——

მიანდუბთან ბრძოლის დროს დაჭრილ რუს ელჩს პოლკოვნ. იასეს ოსმალებმა თავი მოსჭრეს და მარაგში მიიტანეს.

——

„ტაიმსი“ იტყობინება, გერმანელებმა სერბიაში 80.000 ჯარისკაცი საუცხოვო არტილერიით გაგზავნეს. ჰერცგჰერცოგ ევგენის ხელმძღვანელობაში 40.000 კაცი იმყოფება, მომეტებულათ ბავარიელები.

——

კოპენჰაგენიდან გაზეთებს ატყობინებენ: კერძო თათბირის დროს გერმანიის კანცლერმა პოლიტიკურ პარტიების ბელადებთან ერთად გამოსთქვეს ომის უკიდურესობამდი გაგრძელების საჭიროება, რადგანაც გერმანია ზავისთვის ხელსაყრელ პირობებს ვერ ხედავს.

——

9 იანვარს, ცარსკოე სელოში სასწრაფოთ მიემგზავრებოდენ მინისტრები და მთავარი გამგეები საბჭოს თავმჯდომარეს ხელმძღვანელობით. დიდი თათბირი გაიმართა, არკვევდენ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, სხვათა შორის, შესახებ კანონმდებლობის დაწესებულებათა მოქმედებისა.

——

კონსტანტინოპოლში ზავის ჩამოგდების მოსურნე პარტია შესდგა მემკვიდრე იუსუფ იზედინის მეთაურობით. ამ პარტიის ცომხრე კერძო პირებს დაპატიმრება დაუწყეს.

——

ტაშკენტიდან იუწყებიან: კირგიზებმა და თურქმენებმა, მანგიშლ. მაზ., კავკასიის ჯარისთვის ათასი აქლემი შესწირეს.

## სხვა და სხვა ამბები.

**რომი.** ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის და გარეშე საქმეთა მინისტრის ბურიანის ბერლინს გამგზავრების შესახებ ბევრი მითქმა მოთქმა და ლაპარაკია დიპლომატიურ წრეებში. ფიქრობენ, რომ მათ ბერლინს გამგზავრებას სარჩულათ უდევს არა მარტო ის, რომ ავსტრია ეძებს გერმანიის დახმარებას, არამედ პირდაპირ დაავალოს გერმანიის ჯარებს, დაიცვას უნგრეთი და ტრანსილვანია.

**ვარშავა.** პოლონეთის ნაციონალურმა კომიტეტმა გამოსცა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამხრეთ დასავლეთის ასპარეზის ჯარების მთავარსარდალმა გენერალ-ად. ივანოვმა გამოსცა ბრძანება არმიისადმი პოლონელ „დრუჟინების“ და „ლეგიონების“ შესახებ, რომლებიც ჩაირიცხებიან რეგულიარულ ჯარში და მთელი ხარჯები მიღებულ იქნება სახაზინოთ. არმიის შტაბის განმარტებით, ამ „ლეგიონებსა“ და „დრუჟინებს“ უხელმძღვანელებენ პოლონელი ოფიცრები, რომელთა განკარგულებაშიაც იქნება ყოველნაირი იარაღი, თვით არტილერიაც კი. პოლონეთის ნაციონალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მხარი დაუჭიროს ასეთ დასაწყისს ყოველნაირათ, რადგანაც ამას ეროვნული საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე კომიტეტი შევიდა სამხედრო უფროსებთან განცხადებით, რათა დაარსდეს საორგანიზაციო კომიტეტი ყველა პოლონეთის „ლეგიონებისა“, რომელსაც ექნება თავის სახელმძღვანელო წესები შემუშავებული „ლეგიონთათვის“ და ამ კომიტეტს ეყოლება უფროსი, პოლონეთის ლეგიონების ორგანიზაციის უფროსის ტიტულით. ამნაირ უფროსათ წარდგენილია ინფანტერიის გენერალი ივიძინსკი; წევრებათ გენ. სტემპკოვსკი, შიმონოვსკი, ბალიცკი, გრაფი ბოელპლატერი; საძევიჩი და ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი პოლკ. გორჩინსკი.

**სოფია.** გარარა საფინანსო მინისტრმა ბარკმა რომელიც მიემგზავრება პარიზს.

**კოპენჰაგენი.** 11 იანვარი. ბერლინის სააგენტოს ვოლფს ბრიუსელიდან ატყობინებენ, რომ, 11 იანვარს, ღ.მით, უცნობ პირებს ტალახი წაუსვიათ ესპანელ ანარქისტის ფერერის ძეგლისთვის. ამ შემთხვევამ მცხოვრებლები ძლიერ ააშფოთა. გენერალ გუბერნატორმა, უწესოების ჩასაქრობათ, განკარგულება მოახდინა ძეგლის მოხსნის შესახებ.

**ბუქარესტი.** მიმოსაიციდან იტყობინებიან, რომ რუსეთის მხნე იერიშები შეუჩერებლივ გრძელდება. ქალაქი იაკობენი რუსებმა დაიკავეს, რომლებმაც გავიდენ რა ვენგრიაში მიაღწიეს ქ. იოვეფალვოს. ქ. აორნავატროს მთელის სერიოზული შიში.

## დ ე დ ა-კ ა ც ი.

(ნინოობის გამო).

ამბობენ: ქალები სუსტი, ჰაეროვანი არსებანი არიან, ბუნებამ მათ ბევრი რამ დააკლო და ამიტომ მამაკაცის ღონობა არ შეუძლიათო!“ ეს აზრი, ეს, საუკუნოებით განმტკიცებული, აზრი, თავიდან ბოლომდე ყალბი და შეუწყნარებელია. ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა ვაჟკაცების მხრივ და დამღუპველია არა მარტო ოჯახისა და ერისა, არამედ მთელის კაცობრიობისაც კი!

ვინც იცის კაცობრიობის ისტორია, ვინც ცოტათ თუ ბევრათ დაჰკვირვებია ქალების ხასიათს ქირსა თუ ლხინში, დარსა თუ ავდარში, შინა თუ გარეთ, თვით სქესობრივ სფეროშიც კი, ზემოთ ნათქვამს გადაჭარბებულათ არ ჩამოგვართმევს. ჩვენის აზრით, ქალი, თუ კი იგი ადამიანურათ აღიზარდა, ბევრათ უფრო გამჭრიახი, მგრძნობიარე, მოსიყვარულე, გამბედავი, გულადი და პურადია, ვიდრე მამაკაცი და იგივე ქალი—(თუ გზიდან გადავარდა) ბევრად უფრო ცბიერი და ეშმაკია, ვიდრე იგივე მამაკაცი.

მეტსაც ვიტყვით: თვით მამაკაცი მონაა დედაკაცისა. დედაკაცის ყურმოჭრილი ყმაა! აბა მიჩვენეთ ისეთი საქმე, ისეთი მოვლენა, ისეთი მცირე რამ შემთხვევაც კი, სადაც არა სჩანდეს ქალის ხელი, მისი გავლენა, მისი ნაკარნახევი! მართალია, მას შემდეგ რაც მატრიარხატი (ქალთა ბატონობა) პატრიარხატათ (ვაჟთა ბატონობათ) შეიცვალა, ქალი მეორე საფეხურზე ჩამოდგა, იგი თითქოს დაემორჩილა მამაკაცთა უხეშ ძალას, თითქოს „მეორე ხარისხოვან“ არსებათ გადაიქცა და დღეს უმრავლესობა დედაკაცებისა ტიკინებათ გვეჩვენება, მართალია, ბუდდისი, მაჰმადისა, ქრისტესისა და სხვა მქადაგებელ-მორალისტთა სარწმუნოებამ ქალი დაამდაბლა და მამაკაცებზე უღირსად აღიარა; მართალია თანამედროვე აღზრდა-განათლებამ და მოდებმა ქალი მხოლოდ საარშიყო საგნად დასახა; მართალია თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიურმა უსწორ-მასწორობამ და კანონმდებლობამაც კი—ქალი ბავშებს დაადარა და მამაკაცის ლუკმაზე დააბა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალმომრეობის ბრალია და არა ბუნებისა, ე. ი. ქალი ბუნებამ კი არ დაამცირა, იგი დაამცირა მამაკაცთა ეგოიზმმა, მამაკაცთა უსამართლობამ, და ცხოვრების უდიერობამ, უკეთურათ მოწყობამ.

მოგეხსენებათ, რომ **ბატონობა** ... რია **სამართლიანობის** დახშირათ მაღ... უხეში და უკმეხი, ფიზიკური ძალა ... ხოლმე კანონმდებელი და **უფლები**... გილსაც იჭერს.

სწორეთ ასეთი შეუსაბამობის, ბ... რომ დღეს **დედა-კაცად ქალად** გა... ცა და საუკუნეებით დამონებულ ქა... უმარვლესობას **დედა-კაცობისა** სა... ნია. ცხოვრების უსამართლობამ იმდა... დააკნინა თითქმის ორი მესამედი კაცობ... ბისა—ქალები, ყველა განათლებულ ქვ... ნებში ქალთა რიცხვი სჭარბობს მამაკა... თა რიცხვს), რომ **დედა კაცი** რო და... ძახო თავზე კაკალს გადაგამტვრევს „ ... არის შენი დედა-კაციო!—შემოგიძ... დღევანდელი, მოდის კაბა-კარსეტში მოწყობილი ქალი და შეურაცხყოფ... თვის სამართალშიც კი მიგცემს. მა... შეუგნებლობა ბუნებრივი ნაკლი ხომ არის?

ბუნებამ ქალი დაბადა **კაცად** (ადა... ნათ) და **დედად**, ე. ი. მშობელათ მავალის თაობისა, მომავალი სიცო... ლისა, ისე, როგორც ამავე ბუნებამ ... ბადა ვაჟი **კაცად** და **მამად** ე. ი. შემქ... ლათ ამავე თაობისა და იმავე სიცოც... ლისა. **დედა-კაცი** და **მამა კაცი!** აი ... ნაჩენი ბუნებისა, აი, ის ორი გონიერ... მეტყველი და სწორუფლებიანი არსება... რომელთა **უერთი-ერთმანობა** სიცოც... ლის მოსპობას მოასწავებს. მაშ, რაი... უნდა რცხვენოდეს ქალს **დედაკაცობის** და ან მამაკაცს რათ უნდა ეგონოს ... ვისი თავი ბატონად ქალისა? ეს კითხ... ცხოვრების უწესრიგობას.

ბუნება კი აქ არაფერს შუაშია ... ქალს სუსტ არსებათა სთვლის ის—რო... გორც უკვე მოგახსენეთ თავისთავსაც ატ... ყუებს და ქვეყანასაც ღალატობს. პი... იქით ქალთა დასაწყისი და დასაბამი ყო... ველივე ბოროტისა და ყოველივე სიკე... თისაც და **ბუნებრავათ** აღზრდილი ქალი არაფერში არ ჩამოუვარდება ვაჟს. ავიღო... ალალბედზე, რამდენიმე მაგალითი.

პირველ ყოვლისა: ვინ ამცნო ადა... სიტკბოება „ნაყოფისა ხისა მის ცნო... დისა“ ევამ!—

ვინ დათმო „სამოთხეც კი სრული ... სის ნეტარებით“ და ვინ ... **სუფლება** ყოველივე ფუფუნებაზე მა... ლა. იმავე ევამ! ვინ აღზარდა კაიგრა... ხები? დედა-კაცმა.

ვინ აწოვა ძუძუ ცხრა ძმათა ხერხეუ... ლიძეთა. დედამ!

ვინ ააყვავა საქართველო? თამარმ... ვინ მოაქცია ჩვენი ქვეყანა ქრისტეს რჯულ... ზე ნინომ!

ვინ გვაჩვენა მაგალითი ხასიათის სი... მტკიცისა?—ქეთევანმა!

ვის კალთაში ახვლს თითოეული ჩვენთაგანი თვალებს? დედის კალთაში!

## ქართლის ვითარება.

**ახლო წარსულიდან.**

(მოკლე მიმოხილვა).

**II. 1905—911 წლები**

(დასასრული იხ. „იმერეთი“ № 3).

მთავრობის მამასახლისების დაყენების შემდეგ გლეხობას ჩამოერთვა ის უფლება, რაც ბატონყმობის გადავარდნამ მიანიჭა.

ამასთან, წინათ თუ სასოფლო სასამართლოებში ქართულ ენაზე სწარმოებდა კანცელარიის მთელი საქმე და მოსამართლეების გადაწყვეტილება და განაჩენები თუ ქართულ ენაზე იწერებოდა, მთავრობის მამასახლისის დაყენების შემდეგ ესეც მოისპო,—მოსამართლეები, მომჩივანი და მოპასუხე ქართულ ენაზე საუბრობენ, წერით კი რუსულათ იწერება.

ასეთმა ანაზდეულმა ცვლილებამ გამოიწვია ანორმალური შედეგები. ცხოვრება თავის კალაპოტში აღარ ჩადგა, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ჟამს სოფლის მოხელეები გლეხებისადმი დიდ სისასტიკეს იჩენენ.

ბევრი რამ თქმულა ამაზე და დაწერილა, ბევრიც დაიწერება. მაგრამ ამ ჟამად სოფლის მოხელეთა შესანახ ხარჯს შევეხები.

დღეს სოფლის ავი და კარგი მომრიგებელ-შუამავლების ხელშია, სოფლის ავლა-დიდებაც მათ ექვემდებარებათ, სოფლის შესავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვაც მათ კანტროლს ქვეშაა.

ესაა მხოლოთ, რომ შუამავალნი არასარგებლობენ თავიანთ უფლებით, ესე იგი, არ ჰპატრონობენ სოფელს. თავს არ იწუხებენ, რომ წურბელებისაგან დაბეჩ ვებული სოფელი იხსნან.

თუ ბიუროკრატობას არ გაჰყვებიან და ცოტათი მაინც სოფლისთვის გულ-კეთილობას გამოიჩენენ აუცილებლად მათ ბევრი რამ შეუძლიანთ გააკეთონ სოფლის სასარგებლოდ. არც დიდი შრომა დასჭირდებათ, ბძანების მეტი არა უნდათ რა!

ყველას კარგად მოეხსენება სოფლის ავლა-დიდება, მისი სიღატაკე; ეს რამდენიმე წელიწადია სოფელი განიცდის საშინელ ეკონომიურ კრიზისს ცალკე მოუსავლობით და ცალკე ეხლანდელ სასტიკის დროთა ვითარებით.

სოფელს ერთი ორად და სამად მოემატა ხარჯი მოხელეების შესანახად. სოფლელნიც ხმა ამოუღებლივ იხდიან, ხოლო არ უწყიან რაში რა იხარჯება. სოფლის მოხელეების ხარჯთ აღრიცხვას მომრიგებელი შუამავალნი კანტროლს უკეთებენ და ამტკიცებენ. ამის გამო ერთის შეხედვით, ჩვენც ყველანი, არხეინად უნდა ვიყვნეთ, რადგან შუამავალის წყალობით გლეხის გროშებს თავისი დანიშნულება მიეცემა და ერთი მაინც არ დაიკარგება.

მაგრამ ნამდვილად საქმე ასე არ არის.

მომრიგებელ შუამავლების გული და ყური იქითკენაა მიქცეული, რომ სოფლის მოხელეებისათვის ფული იყოს სრულად მოკრეფილი და ხაზინაში ჩაბარებული. იმას კი აღარ იძიებენ, თუ რამდენს და როგორ მოჰკრეფენ.

1908 წ. 5 მარტს, გორის მაზრის უფროსმა ცირკულიარი გამოსცა, რომელშიაც ნათქვამია, რომ არც ერთი მამასახლისი არ უნდა ერეოდეს საზოგადოების ფულის ანგარიშშიო ამ ცირკულიარმაც კი ვერ იმოქმედა.

არც ერთი გადასახადი, არც ერთი სამამასახლისო ფული არ მოკრეფილა, რომ მთავრობის მამასახლისები არ გარეულიყვნენ და არ გაეგლიჯოთ.

მთავრობის მამასახლისების დანიშვნის შემდეგ სოფლის მოხელეების ხარჯმა ერთი ორად და სამად იმატა. წინათ თუ მეკომური იხდიდა სოფლის მოხელეების შესანახად 1 მ. 40 კ., ეხლა იხდის 3 მან. და ხანდახან მეტსაც.

აი ნიმუში სოფლის წინანდელ და ეხლანდელ ხარჯისა მოხელეებზედ,—ოქონის საზოგადოებაში სოფლის მოხელეებზედ იხარჯებოდა წელიწადში:

**1905 წლამდის.**

მამასახლ. 300 მან., მწერლის 240 მ., 3. სტრაჟნიკს—2. ჩაფარს 480 მან. 1 გამგზავნს 120 მან. კანცელარიის მცველს 60 მან., სახლის ქირა—მან., კანცელარიის ხარჯი 60 მან., სულ 1260 მან.

**1906 წლიდან.**

მამასახლ. 360 მან. მწერალს 360 მან., 3. სტრაჟნიკს 900 მან., 2. ჩაფარს—2. გამგზავნს 480 მან. კანცელარიის მცველს 96 მან., სახლის ქირა 204 მან., კანცელარიის ხარჯი 180 მ. ნ., სულ 2580 მ.

ოქონის საზოგადოებაში ხარჯის გამღები ითვლება 1061 კომლი, წინად მეკომურს გამოქონდა სოფლის მოხელეებისათვის 1 მ. 40 კ., ახლა კი 2 მან. და 80 კ. (ხანდახან 3 მანათიც). მაშასადამე ამ ანგარიშით ოქონის საზოგადოებას ყოველ წლივ 1906 წლიდან ზედმეტი გამოქონდა 390 მ. და 80 კ.

ატოცის საზოგადოებაში სოფლის მოხელეებზე იხარჯებოდა 1906 წლიდან:

მამასახლისზე 360 მან., მწერალზე 360 მან., 2 სტრაჟნიკზე 600 მან., 2 გამგზავნზე 480 მან., კანცელარიის მცველზე 60 მან., კანცელარიის ხარჯი 100 მან.

სულ 1960 მან.

ამავე საზოგადოებაში ხარჯის გამღები ითვლება 637 კომლი (თუმცა ხარჯის გამღები მეტია ესე იგი 670 კომლი, მაგრამ ისევ ოფიციალურ ცნობებით ვსარგებლობ). და თითო მეკომური 1909 წ. ივლისამდი იხდიდა მოხელეების შესანახად 5 მან. ესე იგი 3185 მ., მაშ ატოცის საზოგადოებასაც ყოველ წლივ მეტი გამოქონდა 1225 მან.

**ალის საზოგადოება:**

მამასახლისზე 360 მან., მწერალზე 360 მ., 2 სტრაჟნიკზე 600 მ., 2 გამგზავნზე 480 მ., კანცელარიის მცველს 96 მან., კანცელარიის ხარჯი 100 მ.

სულ 1996 მან.

ხარჯის გამღები ითვლება 1245 კომლი. მეკომური იხდის 2 მ. 20 კ., მაშასადამე ამ საზოგადოებასაც ზედმეტი გამოქონდა 1906 წლიდან 1909 წლამდის 743 მან.

ბარეთის საზოგადოებაში ითვლება 600 კომლი, მამასახლისის ეგძის ჩვენებით ხარჯის გამღებია 632 კომლი. თითო მეკომური იხდიდა 1906 წლიდან 1909 წ. 13 ივლისამდის 4 მ. 80 კ. (საზოგადოების ჩვენებით) მთელ საზოგადოებას კი გამოქონდა 3034 მ. 60 კ. მოხელეებზე კი ეხარჯებოდათ:

მამასახლისზე 360 მ., მწერალზე 360 მ., 3 სტრაჟნიკზე 900 მ., 2 გამგზავნზე 480 მ., კანცელარიის მცველს 84 მ. სახლის ქირა 120 მ., კანცელარიის ხარჯი 100 მან.

სულ 2404 მანეთი.

ამ საზოგადოებას ზედ მეტი გამოქონდა 629 მ. და 60 კ.

წუნარის საზოგადოებასაც ზედ მეტ... გამოაქვს ყოველ წლივ 245 მან. 60 კ. ხარჯის გამღებია (მამასახლისის ჩვენებით) 613 კომლი, თუმცა საზოგადოებაში ითვლება 673 კომლი. საზოგადოების ჩვენებით თითო მეკომური იხდის მოხელეების შესანახად 3 მ. 20 კ. მაშასადამე საზოგადოებას გამოქონდა 1906 წლიდან 1961 მან. იხარჯებოდა:

მამასახლისზე 360 მ., მწერალზე 360 მან., 2 სტრაჟნიკზე 600 მ., გამგზავნზე 216 მ., სახლის ქირა 120 მ., კანცელარიის ხარჯი 60 მან.

სულ 1716 მან.

**ყორნისის საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა:**

**1909 წლ. 12 ივლისამდის.**

მამასახლისზე 360 მან., მწერალზე 30... მ., 4 სტრაჟნიკზე 1200 მ., 2 გამგზავნზე 240 მ., სახლის ქირა 120, მცველს 60 მ. კანც. ხარჯი 60 მ. სულ. 2340 მან.

**13 ივლისიდან.**

მამასახლისზე 480 მან., მწერალზე 26... მან., 2 სტრაჟნიკზე 600 მან., 2 გამგზავნზე 360 მან., სახლის ქირა 120 მ. კანცელარიის ხარჯი 60 მ. სულ 1980 მან.

ხარჯის გამღები ითვლება 673 კომლ... 1909 წ. 15 ივლისამდის მეკომურს გ... მოჰქონდა წლიური გადასახადი 4 მა... 50 კაპ. 15 ივლისიდან კი წლიური გა... სახადი—4 მან. ესე იგი 1909 წ...

ვინ ავთანდილ — გვატარიელებს? სატრფო.

ვინ არის ჩვენი სამოთხე—თუ ჯოჯოხეთი?

ქალი, ქალი და ისევ ქალი!...

ერთის სიტყვით, დაბადებიდან კუბოს კარამდე ქალია ჩვენი თანამგზავრი, ჩვენი აშენებელიც და დამღუპველიც. (ბოროტ ქალთა ვერაგობის მაგალითებს აღარ ჩამოვთვლი) ქალის ავკარგიანობაზეა დამოკიდებული ბედი—და უბედობა, ოჯახისა, საზოგადოებისა, ერისა, კაცობრიობისა!...

თითოეულ ქვეყანას, თითოეულ ერს ჰყავს თავისი გმირი-ქალი,—ემბლემა მამულიშვილობისა.

წმინდანი ქალები—ემბლემა სარწმუნოებრივ აღფრთოვანებისა, მოყვასისათვის თავის დადებისა.

ბედმა და ისტორიამ არც ჩვენ დაგვტოვა უნუგეშოთ და მრავალთა შორის ჩვენც მოგვეპოვება სახელი და საქმენი წმ. ნინოსი, თამარისა, ქეთევანისა და სხვათა და სხვათა.

და, აი, დღევანდელ დღეს—როცა ვდღესასწაულობთ ათას ხუთას ოთხმოცდა მეათე წელს ქართლის მოქცევიდან, ვსთხოვთ უკულმართ—აღზრდა ცხოვრებისაგან გადაგვარების გზაზე შემდგარს ქართველ ქალებს გაიხსენონ საქმენი ძველთა დედათა, ჩაუკვირდენ თავის მნიშვნელობას ცხოვრებაში და თავის ქვეყნის პირვარამზე ერთი დღე მაინც იფიქრონ...

ი.-ი.

## კანონი ღვინის შესახებ. *)

მიმდინარე წელს გამოიცა ღვინის შესახებ კანონი, მოწონებული სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს მიერ და **უმაღლესად** დამტკიცებული ამა 1914 წლის 24 აპრილს.

თანახმად ამ კანონისა, ნამდვილ ღვინოდ ითვლება ის სასმელები, რომელსაც ვაყენებთ ყურძნის წვენის (ტკბილის) დადუღების შემდეგ, ახალ მოკრეფილ, ან ვაზებზე შემჭკნარ ყურძნის დაწურვის შემდეგ, ჭაჭით ან უამისოდ, სხვა რისიმე შემადგენლობის დაუმატებლათ, გარდა იმისა, რაც კანონით ნებადართულია.

ტკბილს, ან ღვინოს, შეიძლება შეერიოს: წმინდა ღვინის დედა, ტანინი (ნივთიერება, რომელიც ბლანდავს ღვინოს) ლიმონისა და ღვინის სიმჟავე წმინდა ნახშირ-მჟავე კალცი (ცარცი), სიმჟავის შესამცირებლად სად ღვინოში, შედედებულ ყურძნის ტკბილი, გაწმენდილი ყურძნის ან კონიაკის სპირტი, იმ პირობით კი, რომ შემდეგ სპირტის მიმატებისა ღვინის შედგენილობა 10 გრადუსზე მეტ სიმაგრისა არ იყოს და სპირტიც 4 გრადუსზე მეტი არ უნდა იყოს დამატებული. დაბოლოს კანონის ძალით (მევენახობისთვის უხეირო მოსავლიან წლებში, მიწის მფლობელობისა და მიწათმოქმედების მთავარ გამგეობის ნებართვით და მევენახობისა და მეღვინობის კომიტეტების წარდგენით) ტკბილში შეიძლება დამატება შაქრისა, წინ ან დუღილის დროს, იმ პირობით კი, რომ საერთო ზომა სპირტისა არ აღემატებოდეს შემადგენლობით 10 გრადუსს, შერეულ შაქრის რაოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს $6^1/_2$ პროცენტს.

კანონის მიერ ნებადართულ წესებს ღვინის დაყენების შესახებ მეღვინობაში ეკუთნიან: დაწმენდა ღვინისა კვერცხის ცილით და სუფთა ჟელატინით, წმინდა კაჟის ქვიშით, კაოლინით და აზბესტით (მინერალურ ბამბით) გაწურვა ღვინისა ქსოვილებში და იმ ნივთიერებითა (აზბესტი), რომელნიც ღვინოში არ იხსნებიან: შედედება ღვინისა გაყინვით და ბოჭკების გამოხრჩოლა წმინდა გოგირდით.

აღკრძალულია ყურძნის ღვინოში შერევა ხილეულის (ПЛОДЫ, ЯГОДЫ) ღვინოებისა და ხილეულის წვნებისა და მათ ბადაგებისა, აგრეთვე ყოველგვარ საღებავ და სუნელოვან ნივთიერებათა.

ის პირნი, ვინც დაამზადებს გასასყიდათ ან შეინახავს ღვინის სავაჭრო საწყობებში ღვინოს, გაკეთებულს დაუცველად ზემო აღნიშნულ წესებისა, პირველად დასჯილი იქნებიან ფულის ჯარიმით 10 მანეთიდან 50 მანეთამდე, ხოლო მეორეთ და შემდეგ შემთხვევებში—50 მანეთიდან 100 მანეთამდე. აღკრძალულია ღვინოში წყალის დამატება. დამნაშავენი ამაში დასჯილ იქნებიან პირველად 50 მანეთიდან 200 მანეთამდე და არა უმეტეს ერთი თვის დაპატიმრებით და ეს წყალნარევი ღვინოც ჩამოერთმევათ, ხოლო მეორეთ და შემდეგ შემთხვევებში ამავე ფულის ჯარიმით და სამ თვემდე დაპატიმრებით.

აღკრძალულია დაავადებულ (დაძმარებულ და დამწარებულ) ღვინით ვაჭრობა. დამნაშევენი დაჯარიმებულ იქმნებიან პირველად 10 მან. 50 მანეთამდე და ეს დაავადებული ღვინოც ჩამოერთმევათ, ხოლო მეორე და შემდეგ შემთხვევაში დაჯარიმებულ იქმნებიან 50 მან.—100 მანეთამდე.

აღკრძალულია ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შერევა ღვინოში (სახარინი, საღებავთა, სოლიცილის სიმჟავისა და სხვ.) დამნაშავენი დასჯილ იქმნებიან, გარდა ამ ღვინის, ჩამორთმევისა, პირველად ფულის ჯარიმით—50 მან. 200 მანეთამდე და ორ თვემდე დაპატიმრებით, ხოლო მეორე და შემდეგ შემთხვევებში ფულის ჯარიმით 100 მან. 300 მანეთამდე და ციხეში დაპატიმრებით ერთი თვიდან—3 თვემდე.

აღკრძალულია მომზადება გასასყიდათ და შენახვა სავაჭრო საწყობში იმ სასმელებისა, რომელთაც აკეთებენ ჭაჭისა, შაქრისა და წყლის ერთად დადუღებით, ან მხოლოდ მარტო წყლით; ამნაირ ღვინის გაკეთება, მხოლოდ ნება დართულია თავისი ოჯახისთვის სახარჯად, ისიც იმ პირობით, რომ თითო დესეტინა ვენახზედ, ათ ვედრაზე მეტი არ უნდა აღემატებოდეს. დამნაშავენი დაპატიმრებულ იქნებიან არა უმეტეს ერთის თვისა, ან ფულის ჯარიმით, არა უმეტეს 100 მანეთისა. ზედამხედველობა ამ წესდებულების დაცვისა შესახებ ღვინის დაყენებისა, შენახვისა და ვაჭრობისა ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმის და სუხუმის ოლქებში დავალებული აქვს მევენახებისა და მეღვინეობის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს—სადაც უნდა მიიმართოს ყველა რჩევა დარიგების მისაღებად, შესახებ ღვინის კანონის შესრულებისა: გარდა ამისა სავაჭრო და საზოგადო პოლიციას და საეროზო და სამოქალაქო დაწესებულებებს, რომელთაც სასანიტარო—საპოლიციო ორგანიზაციები აქვთ მოწყობილი.

კ. ბერეკაშვილი.

*) ეს წერილი რედაქციაში მოიტანა კ. ბერეკაშვილმა, უადგილობის გამო მხოლოდ დღეს ვბეჭდავთ. რედ.

## მევენახეთა საყურადღებოდ.

ომის გარემოებით სარგებლობენ და ვაჭრებმა ძლიერ აუწიეს ფასი შაბიამანსა და გოგირდს.

ფუთ შაბიამანს ზოგიერთები 10 მანეთადაც კი ჰყიდიან. ის კი ავიწყდებათ ბ. ბ. მოვაჭრეებს, რომ შაბიამანი მათ მიღებული და შეძენილი აქვსთ შარშან კარგ პირობებში როდესაც ისინი,—ორთა შუა რიცხვით—ფუთს 4 მან. ყიდულენ. ახლა იმავე შაბიამანს ყიდიან ერთი ორათ. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ გარემოებით სარგებლობენ და წელში გაწყვეტილ მევენახეებს აიძულებენ შეუძლებლათ გახადონ მათთვის ვენახების წამლობა. რაღა თქმა უნდა ეს სავალალო მოვლენაა! მაგრამ ნუ დაივიწყებენ ბ. მოვაჭრეები, თუ **რა პირობებით აქვსთ მათ მიღებული ნებართვა ვისზედაც ჯერ არს შაბიამანის გამოწერის საქმე და მთავრობა რისთვის არ ახდევინებს მათ ბაჟს.** ეს იმიტომ, რომ რაც შეიძლება ხელმისაწვდომ ფასათ შეეძლოთ შეძენა საწამლებელ ნივთიერებისა მევენახეებს. **ჩვენ ვაფრთხილებთ მევენახეებს:** ნუ ჩაუვარდებიან მოვაჭრეებს ხელში, როგორც დანამდვილებით ვიცით, მევენახობისა და მეღვინეობის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ხსენებულ გარემოებას და ცდილობს, რომ შაბიამანზე ფასები ძლიერ არ იქნეს აწეული. თუ სხვა დროსაც სურთ მოვაჭრეებს იქონიონ შაბიამანი, ნუ ინებებენ ისარგებლონ გარემოებით და კარგათ გაითვალისწინონ, თუ რა ეღირსთ მათ დღეს შარშან შეძენილი და მოტანილი შაბიამანი და მოგებას რაიმე საზღვარი დაუდონ.

კ. ბერეკაშვილი.

**ჩვენი გაზეთის შემდეგი ნუმერი გამოვა 16 იანვარს.**

## ახალი ამბავი.

როგორც ვიცით, ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ქალაქის წყლად ნისა და სხვათა გეგმის შედგენა მიანდო თფილისის ქალაქის ინჟინერს ბ-ნ ქორდიანს და მის ამხანაგებს. ქალაქის გამგეობას წასული წლის შემოდგომაზე სურდა ბ. ქორდიანისათვის ეჩვენებია ნაქერალას ქედის (ოკრიბაში) წყაროები, მაგრამ ომიანობამ ხელი შეუშალა. 12 იანვარს, ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა ბ. ქორდიანს დეპეშა გაუგზავნა: რადგანაც ამ ჟამათ კარგი ამინდებია საქმეების მოსაწესრიგებლათ ჩამოდის.

✦ ხუთშაბათს, 15 იანვარს, ტასო აბაშიძის საბენეფისოთ ვასო აბაშიძისა და ვლ. ალექსი მესხიშვილისა და გ. იმხნელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **„ორი ჯიბგირი“**. პიესა 5 მოქმ. დებათა და 7 სურათათ.

✦ როგორც ქვიდა იმერეთის სოფლებიდან გვატყობინებენ, იქ უკვე შიმშილობამ თავი იჩინა. ბევრ გლეხს სარჩო აღარა ჰქონია. თბილი ამინდებისა გამო ავათმყოფობაც გაჩენილა, განსაკუთრებით გავრცელებულია სახადი „ყვაილი“ და „ყელჭირვება“. გლეხები უნუგეშო მდგომარეობაში არიან.

✦ დ. ბაღდადში ახალგაზრდათა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გაწვევა ხვალ 15 იანვარიდან დაიწყება, და 22 იანვრამდი გასტანს.

✦ 12 იანვარს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართა საღამო, ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამომ კარგათ ჩაიარა, განსაკუთრებით მშვენივრათ იმღერა ვარდენ ლორთქიფანიძემ. საღამოს შემოსავალი დაახლოებით 1300 მანეთამდეა. ამ შემოსავლის 2% გადაიდება ომით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

✦ თბილი ამინდების გამო ქუთაისში ხეები უკვე აყვავილდა, (ტყემალი, ალუჩა და სხვა) თუ ასეთი ამინდები გაგრძელდა მალე გაზაფხული დადგება.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მწერლის ჯაჯუ ჯორჯიკიას თხზულებათა პირველი კრებული. წიგნი ჩინებულად არის გამოცემული, მშვენიერს ქაღალდზე და მხატვრულის მორთულობით; დაბეჭდილია ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ ქუთაისის განყოფილების სტამბაში ეტყობა ეს [illegible] არის მოწყობილი, რომ [illegible] შეიძლება იქ წიგნის [illegible] ჯაკიას თხზულებანი შეიცავს 315 გვერდს და ღირს სამი აბაზი. ამ თხზულებებს დაწვრილებით შემდეგ განვიხილავთ.

✦ სრულიად რუსეთის ქალთა კავშირის კომიტეტი სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს მას ცნობები საავათმყოფოებისა და ომში დაჭრილთა შესახებ.

✦ 15 იანვარს, ქუთაისის ოლქის სასამართლო გაარჩევს ბაგრატ სარქისოვის, გიორგი იამანიძის, კონსტანტინე ხარტიკაძისა და სხვების საქმეს.

✦ ქალაქის საბჭოსთან არსებულმა სამეურნეო კომისიამ დაადგინა, დაევალოს ბაზრის პოლიციას, რომ ყასბებთან ქვაფენილზე სანოვაგის დაწყობა აღკრძალულ იქმნას.

✦ სანიტარული წესის დარღვევისათვის მეფურნე მალაქია კუბლაშვილს ქალაქის სანიტარებმა ოქმი შეუდგინეს.

## ომში დაჭრილი ქართველები.

პოდპორ. ნიკოლ. ბესარ. კუჩუხავა. შტ.-როტმ. მიხ. ბეს. ჰეჟინაძე. კაპიტ. ნიკოლ. დავ. თ. ცაციშვილი. პოდპ. გრიგოლ ლილიძე.

### ომში დაჭრილი ქართ. ჯარის კაცები.

#### როსტოვში.

1. კუნჭულია პარმენ ანტონის ძე, ქუთაისის გუბ., ოზურგეთის მაზრა სოფ. ლესა.
2. შ. ხნაზაროვი ბაგრატ მიხეილის ძე, თფ. გუბერნია, გორის მაზრა, ს. მეჯვრისხევი.
3. ეძგვერაძე გიორგი, ქუთ. გუბ., კუხის საზოგადოება.
4. ბიჩკაშვილი პლატონი, თფ. გ. გორის მაზრა, სურამიდან.
5. გოგორენიანი ფილიპე, (რაჭველია).
6. ცარციძე ერმალოზ იოსების ძე, ქუთ. გუბერნია, შორაპნის მაზრა, ს. ჯალაურთა.
7. ბაბასოვი პავლე სიმონის ძე, (თფილისელი სომეხია).
8. ჭანიშვილი მელიტონ ალექსის ძე, ქუთ. გუბ., ოზურგ. მაზრა, სოფ. ურხაური.

მისამართი: Лазаретъ О. З. О. № 2 Дмитрію Павловичу Китуашвили.

#### მოსკოვში.

1. ღურჯია აკაკი ტუტუს ძე, ფოთიდან, წმ. გიორგის ჯვრით არის დაჯილდოვებული.
2. გაჩეჩილაძე ილია იაკიმეს ძე, შორაპნის მაზრა, სოფ. საწაბლე.
3. ამბროსაშვილი გიგლია გიორგის ძე, თელავის მაზრა სოფელი საბუე.

ივლისამდის ყოველწლივ საზოგადოებას ზედმეტი გამოჰქონდა 688 მან. 50 კ.— პირველს ივლისიდან კი ყოველწლივ ზედმეტს ხდილობდა 712 მან.

ამ ანგარიშს რომ არ დავერწმუნოთ, აი მომრიგებელი შუამავალი თ-დ ერისთავი რასა სწერს ყორნისის მამასახლისს: 1909 წ. 14 აგვისტოს № 9523 ბრძანება, რომ მოხელეებს ჯამაგირებისათვის მეორე ნახევრის ანგარიშში გასწერეთ და აკრიფეთ 1020 მან. 26 კაპ., მამასახლისის ჩვენებით კი მეორე ნახევრის ანგარიშით გასავალია 890 მან. ნუ თუ მომრიგებელმა შუამავალმაც არ უნდა იცოდეს გასავალი სასოფლო მოხელეებზე და ეს 30 მან. 26 კაპ. ზედმეტი უნდა მოაკრეფინოს?

ახლა ამ საზოგადოების სახლის ქირა აიღეთ. საზოგადოებას საკუთარი შენობა აქვს სასოფლო კანცელარიისათვის, ამ შენობაში მთელი სოფლის მოხელენი, სასამართლო და კანცელარია მოთავსდებიან და სახლის ქირას რაღათ ახდევინებენ?

აი მეორე შუამავლის განკარგულება: შუამავალი თ-დ ვეზირაშვილი სწერს ოქონის მამასახლისს: მოხელეების ჯამაგირებისათვის მეორე ნახევრის ანგარიშში გასწერეთ და აკრიფეთო. მამასახლისმაც გასწერა და შუამავალს ფული ჩაუტანა. ზედმეტი მოკრეფილა 284 მან. 76 კაპ. შუამავალმა ხომ იცოდა, რა იყო ხარჯი, რად მოაკრეფინა ეს ზედმეტი ფული?

მართალია მომრიგებელმა-შუამავალმა გამოუცხადა საზოგადოებას: „თქვენ მოგრჩათ ხარჯს გარდა 240 მან. სასოფლო კანცელარია უნდა შეკეთდეს, იმისათვის დაგჭირდებათ და მოიხმარეთ, იმის ხარჯს აღარ შეგაწერთო“. დანარჩენი 44 მან. 76 კაპ. რაღა იქნა?

შეცდომა შეცდომას მისდევს,—სასოფლო კანცელარიის შეკეთება დაიწყეს, დურგლებს გაურიგდენ 400 მან. (თუმცა სხვები 240 მან. აკეთებდენ) წამოვიდენ და ხელმეორედ შეაწერეს თითო მეკომურს—28 კაპ.

მამასახლისის ჩვენებით ხარჯის გამღები ოქონის საზოგადოებაში 1026 კომლია და არა 1061 კომლი, დავერწმუნოთ მამასახლისს. მაშ კანცელარიის შენობისათვის მოუკრეფიათ ხელმეორედ 287 მან. 20 კაპ. ერთად რომ შევკეცოთ 284 მან. 76 კაპ.+287 და 28 კაპ. გამოვა=572 მან. 4 კაპ. სწორედ 400 მან. სასოფლო კანცელარიის შენობას დანარჩენი 172 მ. 4 კაპ. სადღა არის?

ყველაფერი, რაც ზემოდ ავღნიშნე წვრილმანი არ არის. სოფლისათვის ყოველ კაპეიკს დიდიმნიშვნელობა აქვს და ამიტომ მომრიგებელ-შუამავალნი ფრთხილათ უნდა ეკიდებოდენ სოფლის ხარჯთ აღრიცხვას.

### VII. რით გაურბის სოფელი ეკლესიას?

ვინ განკურნავს მას? რითი ეშველება რომ სოფელი გამობრუნდეს და აღორძინდეს? მას უნდა მხოლოთ დრო და განვითარება.

როგორ უნდა განვითარდეს? სოფელს განავითარებს სკოლების გავრცელება და კულტურული დაწესებულებანი, - აგრეთვე სოფლის განვითარებას ხელს შეუწყობენ შერჩეული, რიგიანი სოფლის მოხელენი, სოფლის ინტელიგენცია და მღვდლები.

ნათქვამია—„როგორიც მღვდელიო, ისეთი,—ერიო“, სოფელში მღვდელს ბევრი რამ შეუძლიან გააკეთოს, თუ იგი ღქურვილია სწავლა—ცოდნით, თუ მას შესტკივა გული სოფლისათვის, თუ იგი დაუახლოვდება, შეეთვისება და ცოცხალის ენით განუმარტავს ყოველ დრო და ჟამს ქრისტეს მოძღვრებას, დროს შესაფერ დარიგებას. მაშინ მხოლოდ შესაძლებელი შეიქნება ამნაირი ღვდლების მიზნის მიხწევა, ესე იგი, სოფელი აღარ გაექცევა ეკლესიას.

სულიერნო მამანო! მიმოიხედეთ, თქვენს გარშემო რა ხდება, ჩაუკვირდით თქვენს დამოკიდებულობას სოფელთან, ყოველივე სულიერი კავშირი სოფელთან გაწყვეტილი გაქვთ, გარდა ანგარიშებისა და სხვ...

შეუსაბამო ქცევა მღვდლებისა მღვდელ მოქმედების დროს, და მათი შეუფერებელი საქციელი აუწერელია, შეუძლებელია მათი ყოველივე აღნუსხვა.

ეკლესიების ავლადიდების მითვისება მღვდლებისაგან ხომ ყოველს სამრევლოში ხშირია.

წირვა ლოცვის დროს არავითარი წესრიგი არ სუფევს, ამბიონიდან მღვდელი ილანძღება, მრევლიც ბანს აძლევს: „შეხვრიპა, ჩაყლაპა!“

ეკლესიაში სიცილ-ხარხარია შემოსილი მღვდელი, ბარძიმ-ფეშხუმით ხელში ჰყვირის: „გაჩუმდით, თქვე ვირებო, ძაღლებო!“

მღვდელს ნატამალი პატივ-ცემა არა აქვს არც ეკლესიისა და მრევლისა. იგი ჩაფლულია მხოლოდ და მხოლოდ დრამებსა და ანგარიშებში...

ამ რამდენსამე წლის წინად ერთ-ერთ ეკლესიაში სოფ. მეტეხის სამრევლოში წირვა იდგა, ალსავლის კარები ღიაა, ტრაპეზიდან მლოცველებს მუსაიფი მოესმათ:

— ლექსოზე, რომ სამი ჩანახი პური დარჩა, არ არწყე? ეკითხება მღვდელი მნათეს.

— ვერა, იყო პასუხი მნათესაგან.

— არც გაბომ მოგცა?

— დიახ, იმისაგან, როგორც იყო, გამოვიტანე.

ამ დროს მღვდელი გამოვა, მლოცველებს ჯვარცმით პირჯვარს გადასახავს და თან ხმის ამაღლებით და გაგრძელებით ამბობს: „მო—ხე—დენ!“.

შეტრიალდება და ისევ ამ საგანზე მუსაიფობენ:

— ჩაჩნაანთ მელონია ერთს კარგ დედალსა და კვერცხებს დამპირდა, დრამაში და ხომ არ მოუცია შენთვის?

— როგორ არა, აი, იქ მედავითნის საწიგნობელს ქვეშ ფეხებ შეკრულია და კვერცხებიც ხელსახოცში გახვეული შევინახე.

ხელ-ახლა გამოვა ხელში სახარებით და გალობის კილოთი ამბობს: „და ისმინეთ წმიდა სახარება, მშვიდობა ყოველთა!“

ამ დროს ქათამმაც დაიკაკანა.

მლოცველები ამათ მუსაიფს, თითქოს მიჩვეულნი ყოფილიყვნენ, აინუშშაც არ აგდებდენ.

აგერ მეორე ეკლესიაშიც მედავითნესთან წირვის დროს მლოცველებს პატარა ჩარექებით არაყი მოაქვთ, მის მაგიერ წმიდა სანთელს ღებულობენ.

ერთი მლოცველი—მირმანა—ვაჭრობას დაუწყებს:

— ჩემი არაყი აბაზისაა და სანთელი მეტი მერგება, ორი კელეპტარი მომეცი თითო შაურიანი და ორი შაურისაც წვრილი სანთელი იყოს.

მედავითნეც საწიგნობელ ქვეშ ჩარექებით, ბოთლებით არაყს ფრთხილათ ერთიერთმანეთზე აწყობს და თან გაბმულის კილოთი და თავის კანტურით ტუტუნებს: „უფალო შეგვიწყალე, უფა—ალო შეე-გვიწყალე!“

აბა, რა სულიერი განსპეტაკება უნდა მიიღოს მრევლმა ამისთანა მღვდლებისაგან?

განა ამას შემდეგ ბრალი უნდა დავდოთ სოფელს, რომ ეკლესიას გაურბის?

ეკლესია არას ის საყუდელი, სადაც ადამიანი სულიერ სისპეტაკეს და სიფაქიზეს განიცდის.

ეკლესია არის ის ადგილი, სადაც ჩვენი თვალი იხილავს ხელოვნების მხრივ სიმშვენიერეს, სილამაზეს.

ეკლესია არის ის ადგილი, სადაც ჩვენს სმენას ატკბობს ზეციური გალობა და ცოცხალ-მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა—ქადაგებანი.

ნაცვლად ყოველივე ამისა—ეკლესიაში ჩვენ ვხედავთ სიბინძურეს, ნაცვლად გალობის და ლოცვისა გვიყურება ლანძღვაგინება, სიცილ-ხარხარი.

ჩვენ ვხედავთ სრულის ეკლესიის სილატაკეს, ნანგრევებს! ეკლესიის გაქურდვას, და მის ქონების მითვისებას ბოლო არ ელება.

ჩვენი წინაპართა სასაფლაონი ნარეკალითაა მოდებული და ღორების საჩიჩქნათაა გადაქცეული

სოფლის ინტელიგენციის ზნეობრივ იკოტრეს—ჩვენი სულიერი გაკოტრებაც თან მოჰყვა.

Legetus.

4. ქელიძე დიმიტრი პართენის ძე, რაჭის მაზრა სოფელი სატმელი.

5. გობედავა ნიკიფორე ექვთიმეს ძე, ქუთაისის მაზრა სოფელი ოპეთი.

6) ბილისეიშვილი ნიკოლოზ ანტონის ძე, ქუთაისის მაზრა სოფელი ოპეთი.

7. გუმბერიძე ვასილ მიხეილის ძე, ქუთაისის მაზრა, სოფელი ძევაანი.

8. მელაძე იოსებ მიხეილის ძე, შორაპნის მაზრა, სოფელი საზანო.

9. დათუკიშვილი მიხეილ გიორგის ძე, თელავის მაზრა, სოფელი საბუე.

10. მაჩიტიძე ალექსანდრე ალფეზას ძე, შორაპნის მაზრა, სოფელი თავას ა.

11. წიქარეიშვილი სანდრო იორდანეს ძე, შორაპნის მაზრა, სოფელი მამაშიკე.

12. წიქარეიშვილი ონისიმე ივანეს ძე, შორაპნის მაზრა, სოფ. ამაშუკეთი.

13. ხარბედია ივანე სერგოს ძე, სენაკის მაზრა სოფ. ქიცია.

14. სართანიევ სტეფანე ქუჩუს ძე, სენაკის მაზრა, სოფელი ბანძა.

15. გულუა გერასიმე ივანეს ძე, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ყულისი.

ყველა ესენი თავს კარგად გრძნობენ, მსუბუქად არიან ხელში და ზოგნი ფეხში დაჭრილები.

ვასო აბდელაძე.

### კიევის ლაზარეთში.

1. აბდალაძე ლუკა თეიმურაზის ძე, ქუთ. მაზრა.

2. აბუკაძე გიორგი გრიგოლის ძე, ს. მოხისი, გორის მაზ.

3. აბულაძე მინა გიორგის ძე, ქუთ. მაზრა.

აბულაძე სევერიანე ანტონის ძე, ქუთ. მაზრა.

5. აბულაძე აკაკი ირაკლის ძე, შორაპნის მაზრა, ს. სარბები. (?)

6. აჯიაშვილი შალომ ისააკის ძე, დ. ბანძა.

7. აბულაძე მინა რომანოზის ძე, ქუთ. გუბ.

8. ანთაძე კაპიტონ ნიკოლოზის ძე, ოზურ. მაზ. ს. ბახვა.

9. ანტაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე, ოზ. მაზრა.

10. არსენაძე ლევანტი გიორგის ძე, შორაპ. მაზ. ს. საქარა.

11. ახობაძე ტიტე ბესარიონის ძე, სენაკის მაზრა.

12. ახობაძე ტრიფონ ივანეს ძე, დ. სამტრედია.

13. ახალაძე ლავრენტი პავლეს ძე, ქუთაისი.

14. ახალაძე ნიკიფორე პეტრეს ძე, ქუთაისი.

15. ბაკურაძე იულიანე გიორგის ძე, ქუთ. გუბ.

16. ბატიაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, გორის მაზ.

17. ბახტაძე სპირიდონ მიხეილის ძე, დ. ხონი.

18. ბერაია ბიქტორ მიხეილის ძე, ზუგდ. მაზრა, ს. ხორგა.

19. ბეროშვილი (?) მიხეილ ილიას ძე.

20. ბიგვავა კონსტანტინე მუსაილის ძე, (?), ქუთაისი.

21. ბრეგვაძე ირაკლი ეგნატეს ძე, შორაპ. მაზ. ს. ბაკურციხე. (?)

22. ბუაჩიძე ტერენტი სიმონის ძე, შორაპ. მაზ.

23. ბუტიაშვილი გიორგი საბას ძე, თელავის მაზ.

24. ბალდოშვილი ივანე მიხეილის ძე, თერგის ოლქი, ყიზლიარის.

25. გაბილაია იაკობ დიმიტრის ძე, სენაკის მაზრა ს. უშანაში. (?)

26. გოგოლიძე მავრიკე პავლეს ძე, შორაპ. მაზ., ს. ალავერდი.

27. გოგოლიშვილი (?) მოსე ხოსროს ძე, ოზ. მაზ. ს. ლეხაური.

28. გაგუა მოსე გერასიმეს ძე, სენაკის მაზ., ს. აბადათი.

29. გალომეიშვილი (კალომეიშვილი?) გრიგოლ კირილეს ძე, ოზურგ. მ., ს. ვერგეში.

30. გელოვანი ალექსანდრე გიორგის ძე, ლეჩხმ. მაზ. დ. ლაილაში.

31. გელაშვილი ალექსანდრე, შორაპნის მაზრა, ს. ძირულა.

32. გიორგაშვილი ზაქარია გრიგოლის ძე, თფ. მაზრა ს. ოლბანი.

33. გიორგაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე.

34. გიმრაძე (ან ლიმრაძე) რაჟდენ, ს. ცვითი.

35. გულუა ნიკიფორე ხახოს ძე, ზუგ. მაზ. ს. კულისკარი.

36. ეძგვერაძე სიმონ დავითის ძე, ქუთ. მაზ.

37. ედიბერაძე ისიდორე დიმიტრის ძე.

38. ეკალაძე პლატონ მოსეს ძე, ქუთ. გუბ.

39. ელბაქიძე იასონ სოლომონის ძე, გორის მაზრა.

40. ვადაჭკორია ბესარიონ ისიდორეს ძე, ოზურ. მაზ.

41. ვაშაკიძე ონისიმე საბას ძე, დ. სამტრედია.

42. ვაშაკიძე მოსე გიორგის ძე, სოფ. კუბი (?) ქუთ. გუბ.

43. ზაბახვაძე (?) არქიპო, შორაპნის მაზრა.

44. ზამუკაშვილი ივანე მიხეილის ძე, თელავის მაზრა.

45. ზარანდია კონსტანტინე კოადის ძე, (?) ზუგდ. მაზ. ს. ჩაკვინდა.

46. ზარნაძე (ზერნაძე) ლუკა ანტონის ძე. შორაპ. მაზ. ს. კინოთი.

47. ზაქარაია იონა, სოხ. ოლ. დ. გალი (?).

48. ზერეკიძე გიორგი მიხეილის ძე. ქ. გორი.

49. თაბუკაშვილი ილია სპირიდონის ძე.

50. თაგვაძე ათანასე პავლეს ძე, ქუთ. გუბ.

52. თათარაიშვილი დავით. შორაპნის მაზრა.

53. თვალაძე ნიკოლოზ კინცარტეს ძე (?) დ. ონი.

54. თვალაძე სიმონ კიმოთეს ძე, ლაჩხუთ. მაზ. ს. უსახელო.

55. თევდორაძე ალექსანდრე გიორგის ძე, ქ. ქუთაისი.

თევზაძე დომენტი პორფირეს ძე, თ. მაზრა.

57. ვალაძე ილია გრიგოლის ძე, სოფ. კარდანახი.

58. თუნგლი მოსე აბრამის ძე, სოხუმ. ოლქი ს. შებლეთი (?).

59. თხელიძე ივანე იერემიას ძე.

60. ინასარიძე გრიგოლ ანდრიას ძე.

61. ირმოვიშვილი (?) ლუკა სოლომონის ძე, სოფ. ხოვლი, გორ. მაზრა.

(შემდეგი ხვალ).

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

„ალლუში“ კომ. 4 მოქ. ვ გუნიასი. შაბათი, 10 იანვარი.

როდესაც ჩვენი დასის წარმოდგენებს ვუყურებ, სამწუხაროდ იმ დასკვნამდი მივდივარ, რომ, რაც უფრო უვარგისია პიესა, მით უკეთ ასრულებენ ჩვენი მსახიობნი. საუბედუროდ, ეგ ცუდი ნიშანია, ნიშანი იმისა, რომ ჩვენი სცენა გაყინულა ერთ წერტილზე და მისი ადგილიდან დაძვრა ვერ ხერხდება.

„ალლუში“ ფუქსავატი, მაგრამ მხიარული კომედიაა — ფარსის ელფერით, ძველი ნაცნობი ჩვენი საზოგადოებისა. ასეთი კომედიის წარმოდგენა კარგია მაგრამ ყოველ სეზონში თუ ახალი რამ არ იქნა შეტანილი, ერთხელ და სამუდამოთ გამზადებული ტრაფარეტი მაინც უნდა იყოს ხელოვნური.

როგორც მუდამ, ზოგი კარგი იყო 10 იანვარსაც, მაგალითად, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ბ. ციციშვილი (თედო), რომელმაც გვიჩვენა ნამდვილი მხატვრული სახე გლეხ-მოსამსახურისა. აღსანიშნავი და მსახიობისთვის ძვირფასი აქ ის იყო, რომ ციციშვილმა შესძლო მთელი საღამო ეცოცხლა სცენაზე. ცარიელი ადგილი მას არ ჰქონია.

დ. მგალობლიშვილის (ფილიმონ მსუბუქიშვილი) ნახვა მეორე დღეს „ორ ობოლში“ გამიკვირდა, რადგანაც მეგონა, „ალლუშზე“ იგი დაიმტვრა-მეთქი. არა იმიტომ, რომ ტბაში გადავარდა, არამედ იმისთვის, რომ იმდენი გრეხა, რაც ბ-ნ მგალობლიშვილს გადახდა—არ მეგონა, თუ სულგუნივით მაინც არ დასწნავდა ახალგაზდა მსახიობს. აქაო და მსუბუქაშვილი ვარო—მთელი საღამო ბუმბულის ღინღლივით დაქანაობდა.

ტობანიელმა (ნესტორ მირვანდილი) საბაბი მომცა ერთი მსახიობის ნათქვამი გავიხსენო. ეს მსახიობი ამბობდა: „დალოცვილი რეცენზენტები სულ მუდამ რომ გვლანძღვენ, ერთი მაინც დაგვიწერონ როგორ ვთამაშობთო“.

აქ დიდი პრინციპიალური საკითხი იბადება, რომელსაც ჩვენ კერძო წერილში დავუბრუნდებით. დღეს კი უნდა ვთქვათ, რომ თუ იმ მსახიობის რჩევას მივიღებთ, მაშინ ჩვენმა რედაქციამ უნდა იკისროს ის, რაც თეატრის, კერძოდ რეჟისორის საქმეა. ჩვენ რომ ყოველ შეცდომას ჩვენი მსახიობისას გამოვუდგეთ — მთელი ტრაქტატები უნდა ვთხზათ.

უფრო სერიოზულს რომ თავი დავანებოთ, წვრილმან შეცდომათა გროვა იმდენია, რომ შიგ იფლობით. ნუთუ გაზეთმა უნდა აღნიშნოს რომ სამხედრო პირი. თუ თავზე ქუდი არ ახურავს, ისე ხელის თავთან მიტანით სალამს არ იძლევა? ნუთუ ვალ. გუნიას (გულბაათ ჯანრიხაძე)—გამოცდილს ნიჭიერ მსახიობს,—ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ უნდა დაავადებული იყოს გულბაათი (პირიქით საკმაო ჰარმაგად არის დახასიათებული პიესაში ეს პირი) ისე ბაჯ-ბაჯით,—უსიცოცხლოთ, უშინაარსო სიარული ყოვლად შეუფერებელია და შეუწყნარებელი?

ივლიანე ჰახლაძე (ნ. გვარაძე) თუნდა ძმა იყოს ტარფუნის ტოკერამოსი, მაინც არ ივლის ისე, ვით ტოკერამოს როლის ამსრულებელი დადის.

ვ. ურუშაძე (ლუკა მწიფრაშვილი) კარგი იყო იმდენად, რამდენადაც შეუძლია მსახიობს კარგი იყოს თავის როლში და თუ ბ. ურუშაძე ზოგჯერ საზღვარს გადალახავდა ხოლმე, ეს რეჟისორს უნდა მოვთხოვოთ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, და თვით რეჟისორიც თამაშობდა ამ პიესაში, უნდა ვსთქვათ, რომ ბ. შალიკაშვილი (პეტრე რაინდაძე) იყო მეათედი იმისა, რაც შეეძლო ყოფილიყო; ყოველ შემთხვევაში თავისი რაინდობა რაინდაძემ სუფლიორის ცქერით ვერ დაგვიმტკიცა.

რა ვქნათ, თუ ბ. მურუსიძეს ზღვა ფერ-უმარილი უნდა გამოვუწერო რეცეპტად მე ეს სურვილი გამომითქვამს და დაე თვით მსახიობმა მოიხმაროს რამდენიც სჭირია. იმედი მაქვს მიხვდება.

უადგილობის გამო, რეცენზენტის სპეციალური ტერმინი უნდა ვიხმარო და მოვახსენო ქ. დავითაშვილს, რომ უფერული იყო. ერთ ერთ მოქმედ პირს, რომ არ ეთქვა: „ალმზრდელი ქალიაო“—ვერავინ გაიგებდა ვინ იყო და რა იყო ქ. დავითაშვილი ამ საღამოს, მით უფრო, რომ პროგრამაში მხოლოდ მისი სახელი თამარ არის აღნიშნული.

ტასო აბაშიძე—ნუცა, ცქრიალა გოგონა გამოდგა. აბაშიძემ მოხდენილად ჩაატარა თავისი როლი, მხოლოდ, თუ რამ ნაკლი ქონდა, ეს მის გარეშე იყო. ვერ ვნახეთ კორექტივი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა მსახიობს. ერთი შენიშვნაც: ყველაფერში, გარდა ჩვენი მსახიობის გემოვნებისა—საჭიროა პროპორცია, ბუნებრივი შეწონილობა. მრავალია ნუცაზე გრძელი თმის პატრონი ქალი, მაგრამ ხელოვნება როდი არის განმეორება ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენისა.

„ჰამლეტის“ შემდეგ ქილარჯიშვილისაგან არ მოველოდი ასეთ კნ. ბაბალეს (თუმცა სინამდვილეს შორს იყო), ვერც ვიფიქრებდი, რომ დარეჯანს (ლევან ბატონიშვილი) ახლოს მიუდგებოდა და გრაფინიას როლში (ორი ობოლი) კიდევ უფრო გამაოცა. როდესაც ამ სტრიქონებს ვუძღვნი მსახიობს, ნუ იფიქრებს, რომ მე ხელოვნების შესაფერისის მაშტაბით ვზომავ, არა. მე ვხელმძღვანელობ ამ ჟამად შინაური, ქართული საზომით.

მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ ამ მსახიობს მოეპოვება მეტი მასალა, ვიდრე წინად გვაჩვენა.

როგორც წინა რეცენზიაში აღვნიშნე, ნ. ჯავახიშვილი ნაპერწკლიანი მსახიობია და ამ რეცენზიის წერის დროს კი ვერ მოვიგონე ვინ იყო და რა იყო მისი რუსუდანი. სჩანს, იოტის ოდენა შთაბეჭდილებაც ვერ მოახდინა მაყურებელზე.

იგივე უნდა ვუსაყვედურო მ. მარივანს, მისი ლიზაც სადღაც გაჰქრა. იქნებ აქ როლთა უფერულობას ავტორისა ბრალი იყოს, მაგრამ სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს მსახიობის უნარი.

„ორი ობოლი“-ს გარჩევა შემდეგ.

მალატ.

---


სავაჭრო დ. ქებაძისა.

ვორონცოვის ქუჩა.

იყიდება ნარდათ ყოველგვარი საბაკალეინო საქონელი უტეუარ ფასებში. 10—7

მოიკითხეთ ყველგან

„ახალი ქართლი“

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით

ცალკე ნუმერი ერთი შაური

| დღკვეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი“-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით.

ფასი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნის“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთი

წელიწადი მეორე. შრომა წელიწადი მეორე.

1915 წლის პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ დღე.

წლიური ხელის მომწერლები პრემიად მიიღებენ ვიქტორ ჩერნოვის წიგნს ფილოსოფიური სოციოლოგიური ეტიუდები. (ქართულ ენაზე 300 გვ.) არა ხელის მომწერლებისათვის წიგნი ეღირება 2 მან. ფულის გადახდა წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერისას 3 მან. 1 აპრილს 2 მ. 1 ივნისს 2 მან.

გაზეთი ღირს: 1 წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მან.—40 კ. ერთი თვით 80 კაპ.

მისამართი: ქუთაისი, „შრომის“ რედაქცია სახ. აქიმ მ. ლორთქიფანიძისა. ფოსტით: Кутаисъ, газ. „Шрома“ поч. ящ. № 47. უფ.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . . 35 „

აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა, ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. თ.